

გამოცემის 52-ე წელი, (№ 1460). სექტემბერი. 1975. ფასი 20 კაპიკი.

ნახ. ბ. ფირცხალაშანი



ბ.75

— სიმღერა, რაღაც, არ გამოგვდის!..
— ყველას პირველი ბინდათ თევით და, დროგორ გამოგვივამთ?!



ალბათ, მოვა დრო, როდესაც უმალეს სასწავლებელში შესასვლელ კარებს ფოტო-ელემენტის ისეთ პრინციპზე დაამონტაჟებენ, რომ მხოლოდ ცოდნის მეშვეობით გაიღება და, რაც მთავარია, ამოიქოლება თუნდაც ნემსის ყუნწის-ხელა ჭუჭყრუბანები... ჭერჭერობით კი...

გამოცდების ციებ-ცხელების თავიდან აცილების მიზნით, თბილისელმა ციური კარასა-შვილმა კოლმეურნეობა აირჩია. არა, ციურის სრულიადაც არ ჰქონდა მიღრეკილება მხენელ-მთესველობისაკენ და აზრადაც არ მოსვლია, მოსაფაღრფელონი გამზირის ნაცვლად, ორღობებში ავალო ეზოლა, მაგრამ საშუალება მიზნით გაამართლა და რვა თვე წაღვის რაიონში კოლმეურნის სახელი ატარა (თუმცა აქედან სამი თვე არ უმუშაოა!) შემდეგ კი დედაქალაქს დაუბრუნდა, — თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის მოსამზადებელი განყოფილებაში მიმართვით ხელდასმეწიებული. ციურისთან ერთად ინსტიტუტში მსმენელად ჩაირიცხნენ ხულოს რაიონის სოფლების — დიდი ჭარისა და ხიხაძის კოლმეურნეები — გურამ გორგაძე და თამაზ გობაძე. ისინიც, რა თქმა უნდა, აღჭურვილები იყვნენ მიმართვებითა და გუნდურ-სამედიცინო დახასიათებებით. ამ კოლმეურნეობების თავმჯდომარეები გურამს და თამაზს მოწინავეებად სახადდნენ...

ხულოს რაიონის კოლმეურნეებს — გ. გორგაძესა და თამაზ გობაძეს კოლმეურნეობაში „მოღვაწეობის“ დროს თვითური გამოუმუშავება ჰქონდათ 17 კაპიტიდან რამდენიმე მანეთამდე. სრულიად თავისუფლად შეიძლება გიმსჯელოთ და დავასკვნათ კიდევ, რა დონის პასუხისმგებლობა, გულწრფელობა და, თუ გნებავთ, ქეთილსინდისიერება აქვთ გაცილებული დახასიათებების ავტორებს.

ახალციხელი მანანა ელისაშვილის ბედი მისმა მამამ — რომან ელისაშვილმა განსაზღვრა: იგი ადიგენის საკონსერვო ქარხანაში მსახურობდა მთავარ ინჟინრად და სწორედ იქ გააფორმა სამუშაოდ თავისი გოგონა. მამობრივი მზრუნველობა უფლებას არ აძლევდა რომანს, შვილი შრომით გადაეჩინა და მანანაც კრიკაში არ უღებოდა მშობლების სურვილს. ეპიზოდურად თუ ეწვეოდა ხოლმე ქარხანას. მაგრამ, როდესაც საჭირო გახდა დოკუმენტები სამედიცინო ინსტიტუტის მოსამზადებელ განყოფილებაში წარსადგინად, მამინ კლავ დატრიალდა მამა და გააშანშალა საერთო კრების ოქმის ამონაწერი, როგორც შემდეგ გაირკვა, მსგავსი კრება ქარხანაში საერთოდ არ შემდგარა.

სამედიცინო ინსტიტუტის მოსამზადებელ განყოფილებაზე ამ ვაი-მოწინავეების რაოდენობამ 41 კაცი შეადგინა!

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსაც ეწვივნენ „მოწინავეები“. მაგალითად, ლეილა შავაშვილს, დუშეთის საკონსერვო ქარხნის ყოფილ მუშას, თვითური გამოუმუშავება მინიმუ-

მზე ორჯერ ნაკლები ჰქონდა. ან ამდენის გამო-მუშავება როგორ შესძლო, როდესაც იგი სამუშაოს თვეში სამიდან თორმეტ დღემდე მოინახულებდა ხოლმე? მიუხედავად ამისა, ქარხნის ხელმძღვანელობამ, ყოველგვარი მორცხვობის გარეშე, მისცა ლ. შავაშვილს რეკომენდაცია, სადაც იგი იხსენიებოდა საუკეთესოა შორის საუკეთესოდ!

სირცხვილისაგან არ გაწითლებულან ლაგოდების რაიონის სოფელ ბაისუბნის, ლანჩხუთის რაიონის სოფელ ჭყონაგორისა და გვიგუჯორის რაიონის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარეები, როდესაც მათ მისცეს მიმართვები უმალეს სასწავლებლებში ზინაიდა მუმლაძეს, ლაურა გოგუაძეს და ავთანდილ ჩიქვანიას. ეს „მკლავმოუღლე“ ახალგაზრდები საკოლმეურნეო მინდობებში თვეში რამდენიმე დღე თუ გამოდიოდნენ.

ყველაზე მეტად კი გაუპართლა იმ აბიტურიენტებს, რომლებმაც „დიმსახურეს“ გადიდებული სტიპენდიები წარმოება-დაწესებულებიდან თუ მეურნეობა-კოლმეურნეობებიდან, თუმცა მათ არა მარტო არ მოიპოვეს ასეთი შეღავათის უფლება თავიანთი შრომით, არამედ ორწლიანი სამუშაო სტაჟიც ვერ დააგროვეს. ასეთი ბედგაღმებელი აბიტურიენტი სამედიცინო ინსტიტუტში აღმოჩნდა ხუთი, უნივერსიტეტში — ოცი, ხოლო პოლიტექნიკურ ინსტიტუტში — ოთხმოცი! საერთოდ, მთლიანად ამ ინსტიტუტში მიიღეს ოთხმოცზე მეტი აბიტურიენტი. ისინი არ ბრწყინავდნენ ცოდნის მაღალი დონით და წყნარად და აუღივებლად დაიკავეს ადგილები სხვის კუთვნილ მერხებზე. არც ცოდნა, არც შრომაში დაღვირვით ოფლი! მხოლოდ და მხოლოდ ნემსის ყუნწში გაძრომით მშობლებისა და ბიძების დახმარებით, კოლმეურნეობა-მეურნეობების, წარმოება-დაწესებულებების ხელმძღვანელთა ხელის შეწყობით!

ალბათ, ჩველამომწიფი ხელმძღვანელები, რომლებმაც შარშან პროტექცია გაუწიეს თავიანთ ახლობლებსა თუ ნათესაებს, დამსახურებულად დაისაჯნენ, მაგრამ, როგორც იტყვიან, ეს „დიდი შელაგატი“ არ არის მათთვის, ვისაც კანონიერად ეკუთვნოდა უმალეს სასწავლებელში მოწყობა.

ალბათ, მოვა დრო და ამოიქოლება ჭუჭყრუბანები!

ალბათ, — სულ ახლო მომავალში! ეს ამბავი კი შარშან მოხდა!

ინგილო ნათელა

ნახ. ა. კანდელაკისა



— ხალ არის ამ ავადმყოფი?
— ატალეთ ცოტა! დაცლის ამ ყანს და წაიყვანეთ!

მიხვდით, რისი ბრალია!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთი ვინმეს წყალობით, მამა ტოლი გახდა ღმერთის! ბუნებრივად ვმწყარობდით: ჩიტის რძეც კი გაჩნდა ჩვენთვის!

ვიყავ დღე-ღამე ღორანში, არ მტკიოდა თავი ბორავით, მივფრინავდი სკოლაში ყოვანივით შავი „ვოლგით“.

ნიავეს გაჰყვნიენ წუთები, — როს ვნატრობდი „სამიანებს“, — აღმზრდელეებმა „ხუთებით“ გულის გული დამიამეს...

მეტიც: ყელში კანაფი წაუჭირეს საზრიანებს!.. მე კი, მცოდნე არაფრის, მედლის მირონს მაწაირეს.

თუმც არ მქონდა წყურვილი, მამაგა როგორც დამბლა, ჭლეტი, — დედის ნება-სურვილით ექიმის გზას დავადექი.

როგორ? რა გზით? საიდან? სხვა რა ვიცი, ამის მეტი: ლულოს ყველგან გაიტან, თუკი შენკენ არის ღმერთი!

წუთისოფლის სიაცეს ჩემებრ სძლედა მარტო კვაჭი. პირველ კურსზე ვიამე იმპორტული ავტოს საჭით.

ვაუკაცს ველარ მიტევდა ცხრა ბარი და ცხრა მთის კალთა, ვნეტარებდი გვრიტებთან, ხან — ალთას და ხან კი — ბალთას.

ფორმიანი გაღვივლის მისრულებდნენ ხელად წადილს: „შო, გეტყობა თვლებში, უძილო ხარ!.. ნელა წადი!“


დრო ქეიფში სწრაფად ჰქრის, ქვეშ მომეჭია სწავლის კიბე და დიბლომი დასტაქრის უწვალელად ჩავიჭიბე.

როცა მამა ხარ ხალისის, ჭამას მართლაც მოსდევს მადა: დედა ახლა ხარისხის გასაკვაჭად მოეშადა...

მაგრამ უცბად დაბინდა: (ეპ, ყველასთვის იცლის უამის) მამა თბილი სკამიდან ააორთქლეს, ვით ცის ნამის..

ჩემთვის ყოველ ალიონს შხამი მოაქვს, თავლის ნაცვლად... მიხვდით, რისი ბრალია, დღეს რომ არვინ არ მთვლისს კაცად?!

მიწვარდ ისაბაძე (საკონსერვო მასალებიდან)



უსიტყვოდ

ბერძნული
ბიბლიოთეკა



უხსოვარი უღვრამოკლე მოთხრობები

* * *

— მაგიკო, ერთმა ბიჭმა მითხრა, ადამიანი მაიმუნისაგან წარმოიშვაო. მართალია?

— რა თქმა უნდა, მართალია! ეს ხომ ყველამ იცის!

— მაშინ მითხარი, ვინ იყო პირველი ადამიანი, რომელმაც შეამჩნია, რომ იგი უკვე მაიმუნი აღარ არის?

სკალკაქოში

თქვინსი დაბნეულობით ცნობილმა პროფესორმა დალაქს მიმართა:

— გეთაყვა, თუ შეიძლება, გამკრიჭეთ!

— დიდი სიამოვნებით, მაგრამ ჯერ შლაპა მოხადეთ!

პროფესორმა ირგვლივ მიმოიხედა და მოუბოდიშა:

— აჰ, მაპატიეთ! ვერ შევნიშნე, რომ აქ მანდილოსნებიც ბრძანებულან!

თარგმნა მ. ხონელიძე.

* * *

— ჩოხატაურის რაიონიდან გირეკავთ, საყვარელო ნიანგო! ორ სოფელს — გოგოლესუბანსა და შუა განახლებას ერთი ექიმიც კი არა გვყავს. იქნებ, მოახერხოთ და სამედიცინო ინსტიტუტის პირველი კურსის სტუდენტს ახლავე შეუთანხმდეთ, რომ, როცა დაამთავრებს, მაშინ მაინც წამოვიდეს ჩვენს სოფლებში სამუშაოდ, რისთვისაც დიდად მადლობელი დავრჩებით. ისე, ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროდან, გასული წლის 28 აგვისტოს, გვწერდნენ: „...თქვენი სოფლის ექიმებით დაკომპლექტება შესაძლებლობის ფარგლებში გიჩვენება მხედველობაშიო“.

* * *

— თბილისიდან, გლდანის მასივის მეორე მიკრორაიონის 25-ე კორპუსის მცხოვრებნი მოგმართავენ თხოვნით, ძვირფასო ნიანგო! 1973 წლის სექტემბერში ვიზეიმეთ ახალსახლობა. ჯიხვის რეებს რომ ღვინით ვავსებდით, თურმე, ამ დროს, ჩვენი სახლის სარდაფი წყლით ივსებოდა, რაც კანალიზაციის მიღების უწყისრიგობით ყოფილა გამოწვეული. „კომპერატიული სახლიაო“ და ყურადღებას არავინ გააქცევს!

— პირველ რიგში, უნდა მიმართოთ თქვენი სახლის კომპერატიულ გამგეობას. გამგეობა და თავმჯდომარე ვალდებულია, ყველა საჭირობორტო საკითხი მოაგვაროს!

* * *

— ალო, ალო! „ნიანგის“ რედაქციაა? ხულოს რაიონის სოფელ ბოლაურიდან სურათი გამოგიგზავნეთ. მიიღეთ?

— დაუმთავრებელი შენობის სურათია?

— დიახ! ეს შენობა 1965 წელსაა დაწყებული და გერაც არ დაუმთავრებიათ.

— იქნებ, საზაფხულო პავილიონია და გადახურვას არ საჭიროებს? ჰკითხეთ პროექტის ავტორს!

* * *

— კურორტ მენჯიდან გირეკავ, ძმო ნიანგო! აქ დასვენებას რა სჯობს, მაგრამ დამსვენებელზე უფრო მეტი პირუტყვი დაიარება ამ შესანიშნავი კურორტის შემოგარენში. სააბაზანო შენობის ახლოს არის წერტი, სადაც ლუდიოა და შამპანურით ვაჭრობაა გაჩაღებული..

— ჩვენი რჩევაა, ლუდიოა და შამპანურით შეზარხოშებული დამსვენებლები მოერიდონ პირუტყვებს!

* * *

— საყვარელო ნიანგო, ჩვენ ქაპის რაიონის სოფელ ბარნაბიანთკარიდან გაწუხებთ, ერთი დიდი თხოვნა გვაქვს და უნდა შეგვისრულო!

— ბრძანეთ, გისმენთ!

— რადიოს ვერ ვუსმენთ. ზაზები კია გამოყვანილი, მაგრამ რად გვინდა?! ორი წელიწადია, რადიოწერტები არ მუშაობენ. როდემდის იქნებიან ასე რადიოშეუბლები? როდის გაიგონებთ რადიოს ხმას?

— სულ მალე! მე, მეტეხის სასოფლო საბჭოს თავაკაცებს მივაწვდენ ხმას და რადიოს ხმასაც გაიგონებთ!

შანი სიხარულიმ

— არა გრცხვენია, ან რამ იგვიანებ? შენგან რა უნდა გამოვიდეს!
— სკოლის გვერდგველი ინჟინერი!..

„ფულის ძუძუ“

„ფულის ძუძუ“ ვიღას აღარ აწოვი, ახაწონი თუ რამ იყო, აწონე!

ოქროხალხში ფეხვი მაგრად გაიდგი, დახადგმელი თუ რამ იყო, დაიდგი!

სკამზე კაცი, კაცზე სკამი გადარგე, გასაფლანგი თუ რამ შეგხვდა, გაფლანგი!

ვერ იტანდი ამ ცხოვრების „არიფებს“, — დაკრეფა რომ შეეძლოთ და... არ ცრიფეს!

გასაყიდი რაც კი იყო, იყიდე, სხვაზე უწინ, სხვაზე მეტი იყიდე!

დაილოცა დღე, საათი, ის წუთი, — როს გატიკინილს იმავ „ფულის ძუძუთი“,

საყვილელი ხმა ჩაგიწყდა, წაგერთვა, თავიც, სკამიც მოგტრეს შინ თუ გართა!

დაიჩუტე... ამას არ მოელოდი! ეს სხვა ხმაა, შენ სხვა ხმაზე მღეროდი!

„ფულის ძუძუ“ რაკი გქონდა ნაწოვი, ნულს უჩვენებს შენი სინდის-საწოვი!

ზაზა კაციაფილი



— მე ცხინვალისაგან გაწუხებთ. თქვენი კოლეგა ვარ, ჟურნალისტი. ამას წინათ წერილს გამოგიგზავნეთ და თანაც მანეთიანი ჩაგდე კონკრეტში. ჩვეულებრივი მანეთიანი არ გეგონოთ: მასზე გვარი, სახელი და მისამართი აწერია!..

— „თერჯოლის რ-ნი სოფ. ბარდუბანი გერულაშვილი მურადი გინც მიიღოს წერილი გამოგზავნოს სკოლაში.“ — ესაა, არა?

— დიახ, დიახ!

— ჩვენ მურად გერულაშვილს დაბეჭდითე-ბით ვერ დაეაბრალებთ ამ წარწერის ავტორობას, მაგრამ ნამდვილ ავტორს კი სამარცხვინო ბოძე ვაკრავთ! ვიმედოვნებთ, ამჯერად ეს საკმარისი იქნება „განუყოფილები“ წარწერის განუყოფილებლობისათვის!..

„... ჩონგარის ბულვარში ორი მოხდენილი ქალიშვილი მო-
აყენებდა. გრძელი, ე. წ. „მაქსი“ კაბები ეცვათ. უნდა დაგე-
ნახა, ძვირფასო „კოკოდოლო“, როგორ მწარედ დასცინოდა
მათ ერთი მანდილოსანი... ხუმარასავით იგრიბებოდა, აქაოდა,
სასაცილოდ დადიანო, თან დასძახოდა: „თეატრიდან გამოქცე-“

ული საფრთხობელები არიან და ეგ არის!“
სიმართლე გითხრა, სირცხვილით დავიწვი მისი საქციელის
გამო...“

ეროვნული
საზოგადოებრივი ცენტრი
(მოსკოველი მ. რაკუშინას წერილიდან)

გაგვაგაგინათ, ბოლოს და ბოლოს, რაშია საქმე?

ქალთა კაბების საკითხი. ძირითადად დედაქალაქში რომ გადაწყდა, ჯერ ისევ აწვალეს პერიფერიების ზნე-ჩვეულებათა ზოგიერთი ქომალის წარმოსახვას.

ამას წინათ ფოსტამ სამწუხარო ამბავი მოგვითხრო: ერთ ქალიშვილს თურმე ქოქო-ლა დააყარეს ბულვარში კი არა, სამსახურში, — გრძელი კაბა რად ჩაგვიცვამსო!..

იტყვი, ძველი ამბავიაო. როგორ გითხ-რათ: ძველიც არის და ახალიც.

ახალია იმიტომ, რომ ყველა გონიერმა ადამიანმა უკვე კარგა ხანი დაივიწყა ის საბედისწერო დღეები, როცა მიმდინარეობ-და სასტიკი, საფუძვლიანი დისკუსია ქვედა კაბის შესაძლო სიგრძესა და, მაპატიეთ პირდაპირობა, მუხლისთავების სიშიშვლის დონეზე. და, აი, მოკლე ქვედა კაბებმა გაიმარჯვეს და იმდენად გაიმარჯვეს, რომ მავანთ და მავანთ ამჟამად მორალურ კომ-მარად წარმოუდგენიათ გრძელი ქვედა კა-ბები.

ყველაფერი ახლებურად წარიმართა. მოკლე ქვედა კაბების მოდა მძიმე, უთა-ნასწორო ბრძოლით იკაფავდა გზას. ზედი-ზედ იხსებოდნენ წინა რიგებში მყოფნი. მათ ჰკიდებდნენ ღობეებზე ასეთი რუბრი-კით: „ნუ დახუჭავთ თვალს უმსგავსებე-ზე!“ მათ დამცინავი სტვენით მიაცილებ-დნენ, არ უშვებდნენ სამსახურში, ენას ილესავდნენ ესტრადის მოზაიკის, მათ ცხვირს უბზუებდნენ ადგილკორის სიკეთეთა გამანაწილებელნი...

სამკერვალო ოაზისების უფროსები, ლო-ქოსავით ზარმაცები, თავიანთ საუწყებო მოუქნელობას მორალურ-ეოიკურ ბაზას

აფარებდნენ, თანაც სოციალური გადახრით, რადგან ახალი ტანსაცმლის კონსტრუირება უფრო ძნელია, ვინც ის, რომ იგი ჯოჯო-ხეთურ მოვლენად მონათლო. წარმოების გარდაქმნა გეზარება! უფრო იოლი საქმე არ არის, დემაგოგიით დააშინო ჯერ ისევ ფესვგაუდგმელი სულის მქონენი?!

მაგრამ წინა რიგებს ახალ-ახალი ლეგი-ონები ენაცვლებოდა და, ბოლოს და ბოლოს, მოკლე ქვედა კაბა „მინიმ“, ვასტება იმათი წინააღმდეგობა, ვინაც თავიანთი ციხე-სიმაგრებიდან ზანტი დემაგოგიით დატენილ ხელყუმბარებს ისროდა.

რა იყო უმთავრესი საბუთი „მინი“ ქვედა კაბის წინააღმდეგ ბრძოლის დროს?

რასაკვირველია, შიშველი მუხლისთავები. ეს შიშველი მუხლისთავები, რომელთა არსებობაც წინათ გუმანით უნდა გამოგე-ცნო, უცებ გამოეცხადნენ ქვეყნიერებას მთე-ლი თავისი შემზარავი პირველყოფილობით. ამან ქარბორბალა წარმოშვა. ისეთი ალი-აქთით ატყენეს, თითქოს კაცობრიობა მუც-ლის გარეშეც იოლას გადიოდა და უცებ დაინახეს ის, რასაც არად აგდებდნენ.

მაგრამ, აი, მათ გაიმარჯვეს. მერედა, რა მოხდა?

არაფერიც არ მომხდარა. თვითმფრინავე-ბი ძველებურად დაფრინავდნენ, საკვამლე მიღებიდანაც კვამლი ძველებურად მიიზ-ლაზნებოდა ზეცისაკენ და ტრაქტორებიც ჩვეულებრივ ხნავდნენ მიწას.

ახლა კი შიშველი მუხლისთავების შეს-აცვლელად მოვიდნენ ახალი წოდით დამა-ლული მუხლისთავები. თითქოსდა, სწორედ ახლა უნდა აღმოხდენოდათ ალტაცების შე-ძახილი: მაღლობა ღმერთს! ისტორიამ გაი-

მარჯვა! სიმართლე ზემოებს! ჩვენ, როგორც ყოველთვის, მართალი ვიყავით!

ამის მსგავსიც არაფერი მომხდარა.

ისევე სასტიკად, ისევე მძვინვარე შეუ-რიგებლობით, შიშველ მუხლისთავებს რომ იგერიებდნენ, ახლა დამალულ მუხლისთა-ვებს შეუტყის.

აი, სწორედ აქ, საჭიროა გამოვიყენოთ უზარმაზარი ადრინდელი გამოცდილება და უბრალოდ ვიკითხოთ:

— მისმინეთ, ძმებო! გაგვაგებინეთ, ბო-ლოს და ბოლოს, რაშია საქმე?

და კითხვა ნაჩქარვეი აღმოჩნდება, რად-გან ძმები მაშინვე აღშფოთდებიან:

— როგორ თუ რაშია საქმე? მერე მო-რალი?

ისინი ფიქრობენ, რომ მორალი მათი სა-კუთარი ტლანქი პრინციპების მტკიცებაა.

მაგრამ ჭეშმარიტი პრინციპები მათ არ გააჩნიაო. ამას ისტორიული ფაქტები და-ლადებენ. ამიტომაც „მორალი“ იქცევა შუ-რისმადიებლურ მოუთმენლობად, სულმოკ-ლეობად.

თავი დაანებეთ ქალიშვილს, ძმებო! ბო-დიშეც მოუხადეთ და საკუთარი ჯიბიდან გადაუხადეთ იძულებით გაცდენილი დღის გასამრჯელო, თუკი თქვენ გაბედეთ და გრძელი ქვედა კაბის გამო ისე შეარცხვი-ნეთ, რომ შინ გააქციეთ შესვენების დროს!

სწორედ საკუთარი ჯიბიდან და არა — სახელმწიფოს ხარჯზე, რადგან სახელმწი-ფოს არა აქვს საკუთარი საბუთი, აანახდაუ-როს თქვენი უმადლესი პრინციპულობა!

ფელეტონისტი

უურნალი „კოკოდოლო“. № 20, 1975 წ.

ბუდილინი

— ბუდილინიებს არ ვარემონტებთ! — მომიპრა მესაათემ და გაორკეცებული ყურადღებით ჩააშტერდა არამაღვიძარა საათის მექანიზმს, რომლის შეკეთებითაც ჩემი ვიზიტის მომენტში იყო დაკავებული.

— ეჰჰ!.. — შევიცხადე მე. ოსტატმა საათის მექანიზმი ფრთხილად გადადო განზე და თანაგრძნობით მითხრა:

— სახლფორთოდ არ ღირს... შეკეთებაში, სულ ცოტა, ორ მანეთს მაინც გამოგართმევთ, ასეთი ბუდილინი კი მა-ლაზიაში ოთხი მანეთი და ათი შაური ღირს... არ ჯობია, იყიდოთ?... ახალთახალი საათი ორი და ათი შაური დაგიჭდე-ბათ, იმ ორ მანეთს თუ გამოვაკლებთ, ჩემთვის რომ უნდა მოგეცათ! ცუდი აზრია?



— მე უკეთესს ვეძებო, — მივუგე კარგა ხნის ფიქრის შემდეგ, — საათის შეკეთებაში მე გადაგინდით არა ორ მანეთს, არამედ ათ შაურს. თქვენ ხომ მას ათიოდ წუთში გაა-ცოცხლებთ?... მანეთ-ნახევრის დაზოგვით ოთხი მანეთი ვადა-მირჩება. — როგორია?

მესაათემ ისე შემომხედა, თითქოს ძილის ბურანიდან მადვიძარას ხმამ გამოაფხიზლაო. მერე თვალი ამაჩრდა და დაბნეულად წაიბურტყუნა:

— დამიტოვეთ!

გურამ შარაშიძე

ნახ. 5. ქელესსაზვილისა




3
75

75-685

საქართველოს
განათლების
მინისტროს
ბიბლიოთეკა
Индекс 76137

სამხრეთ კორეისათვის გაწეულმა სამხედრო დახმარებამ დადი ზანია გადა-
აკარბა თავდაცვის ნორმებს. სეულის აგრესიული წრეები კი ვაიძახიან „საშიშ-
რობაზე“, რომელიც, ვითომცდა, ჩრდილოეთიდან ემუქრება სამხრეთ კორეას.

ნახ. გ. ლომიძისა



— ერთი ცობაა! კიდეც გვინდა ასეთი განცხადებები!
— მეტი თავისუფალი ალბილი ვეღარ გამოვწახათ!